



სააპელაციო საბჭოს
ბადაყვივთილება
ქ. თბილისი



MES 5 22 0001590696



12/12/2022

შპს „ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის“ სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ

2022 წლის 29 ნოემბერს სააპელაციო საბჭოს წარედგინა შპს „ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის“ სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის №1515930; დამატებითი კორესპონდენციის ცენტრში რეგისტრაციის №1562675 07/12/2022) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2022 წლის 15 ნოემბრის № 1459091 გადაწყვეტილების მიმართ. კერძოდ, სააპელაციო საჩივარი ეხება შპს „ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის“ ავტორიზაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას. საჩივრით მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსთვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.


2022 წლის 9 დეკემბერს სააპელაციო საბჭომ ზეპირი მოსმენით განიხილა სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, მიიჩნია, რომ საჩივარი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 97-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს და ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. მიღებულ იქნას შპს „ბათუმის დამოუკიდებელი სასწავლებლის“ (ს/კ: 245409838) სააპელაციო საჩივარი (ცენტრში რეგისტრაციის №1515930 29/11/2022; დამატებითი კორესპონდენციის ცენტრში რეგისტრაციის №1562675 07/12/2022).
2. სააპელაციო საბჭოს 2022 წლის 12 დეკემბრის №1590593 ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.

4. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) სარჩელის შეტანის გზით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
სააპელაციო საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / სააპელაციო საბჭო
საბჭოს სხდომის მდივანი
სუმბაძე არჩილ

